მომსახურების ხელშეკრულება №C-340/04/25-I340

ქ. თბილისი „29“ აპრილი 2025 წ.

წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება იდება 2025 წლის 29 აპრილის №340/04/25-I340 განცხადების საფუძველზე.

ერთი მხრივ, სს **„ოპიზარი“** (ს/კ 202886163) (შემდგომში - „დამკვეთი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვასილი ღუდუშაურის სახით, და მეორე მხრივ შპს „მშენ-ექსპერტი +“ (ს/კ 406304896) (შემდგომში - „შემსრულებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ჭიპაშვილის სახით, (შემდგომში ერთად მოხსენიებული, როგორც „მხარეები“), ვხელმძღვანელობთ რა საზოგადოების წესდებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე ხელშეკრულებით ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამკვეთის მიერ მოთხოვნილი ინსპექტირების ანგარიშის მომზადება შემდეგ საკითხზე: ***ქ.თბილისი, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა №121ა (ს/კ 01.16.01.010.017) მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის ინსპექტირება როგორც მშენებლობის ასევე ექსპლუატაციის პერიოდში.***

1.2 წინამდებარე ხელშეკრულებით შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, 2025 წლის **20 მაისამდე** შეასრულოს ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1 **შემსრულებელი ვალდებულია**:

2.1.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების დროულად და ხარისხიანად შესრულება;

2.2 დროულად აცნობოს დამკვეთს ისეთი გარემოებების შესახებ, რომელიც შემსრულებლისაგან დამოუკიდებლად არსებობს და საფრთხეს უქმნის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

2.3 **დამკვეთი ვალდებულია**:

2.3.1 გადასცეს შემსრულებელს სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაცია. ამასთან, დამკვეთი პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციის სისწორესა და სიზუსტეზე;

2.3.2 დროულად და სრულად წარუდგინოს შემსრულებელს მის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია;

2.3.3 ხელი მოაწეროს შემსრულებლის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას მომსახურების გაწევის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;

2.3.4 „ინსპექტირების ჯგუფს“ (შემსრულებლის წარმომადგენლებს) ობიექტზე შესვლისას გააცნოს შრომის უსაფრთხოების წესები და ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი ორგანიზაციის შიდა განაწესის შესახებ;

2.3.5 აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს დამკვეთის ობიექტზე მიმდინარე ინსპექტირების სამუშაოებზე აღნიშნული ორგანოს წარმომადგენლების დასწრება;

უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის სრულად და დროულად, ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადახდა.

მუხლი 3. შესრულებული სამუშაოს მიღება – ჩაბარება

3.1 შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ, მხარეები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

3.2. მომსახურების ხასიათიდან გამომდინარე, შემსრულებელმა დამკვეთს ეტაპობრივად შესაძლოა მიაწოდოს დოკუმენტაცია მომსახურების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, დამკვეთი კი ვალდებულია ხელი მოაწეროს აღნიშნულ დოკუმენტს.

მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი და პირობები.

4.1. ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასური შეადგენს ***22500 (ოცდაორი ათას ხუთასი)*** ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4.2. დამკვეთმა წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შემსრულებელს უნდა გადაუხადოს ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული თანხის 30% (ოცდაათი პროცენტი).

4.3. შემსრულებელი თავისუფლდება სამუშაოების დაწყების ვალდებულებისგან 4.2 პუნქტში მითითებული საზღაურის გადახდამდე.

4.4. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებიდან დასკვნის მიღებამდე დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული თანხის 70% (სამოცდაათი პროცენტი).

4.5. დამკვეთისა და შემსრულებლის ზეპირი ან წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლებელია 4.2 პუნქტით გათვალისწინებული თანხა გადახდილ იქნეს 4.4 პუნქტით გათვალისწინებულ თანხასთან ერთად 1.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.6. ხელშეკრულების ფარგლებში დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი), უნაღდო ანგარიშსწორების გზით შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი BAGAGE22

ა/ა GE98BG0000000162660771

4.7 წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას შემსრულების მიერ მომსახურების გაწევის დაწყების შემდგომ.

მუხლი 5. სამუშაოს დაწყებისა და დასრულების თარიღი

5.1. შემსრულებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად შეასრულოს 2025 წლის **20 მაისამდე**.

5.2. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთის მიერ გაცემული იქნა თანხმობა ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების ვადის გაგრძელებაზე, მხარეები ვალდებულნი არიან აღნიშნული თანხმობა გააფორმონ წერილობით, როგორც წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილება, რაც წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, ან არაჯეროვნად შესრულებისათვის და ვალდებულნი არიან მეორე მხარეს აუნაზღაურონ მიყენებული ზიანი.

6.2 თუ შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება არ იქნება განხორციელებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში, დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული, გადახდილი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.3 შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული ვალდებულების, კერძოდ დასკვნის მომზადების შემდეგ, თუ დამკვეთმა არ შეასრულა წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 ან/და 4.3 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება სრულად, შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით მათზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო მხარეთაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, ფორს-მაჟორული ან დაუძლეველი ძალის მოქმედებით, რის გამოც შეუძლებელი გახდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

7.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან აღნიშნული გარემოებების დადგომიდან 3

სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით ფორმით აცნობონ ერთმანეთს აღნიშნული გარემოებების შესახებ.

7.3 თუ წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით განსაზღვრული გარემოებები გაგრძელდა 15 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, მხარეები შეთანხმების საფუძველზე უფლებამოსილნი არიან გავიდნენ ხელშეკრულებიდან.

მუხლი 8. კონფიდენციალურობა

8.1. შემსრულებელი ვალდებულია არ გაამჟღავნოს/არ გადასცეს საინსპექციო საქმიანობისას მოპოვებული ინფორმაცია/დოკუმენტები მესამე პირებს, დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 9. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად და სრულად შესრულებამდე.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის წესი

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

10.1.1 მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

10.1.2 საქართველოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. დავების გადაწყვეტა

11.1. მხარეთა შორის წამოჭრილი სადავო საკითხები გადაწყდება მოლაპარაკებებისა და ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.3. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 12. სხვა დებულებები

12.1. მხარეები ვალდებულნი არიან ყოველი შეთანხმება, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან (ცვლილება/დამატება) გააფორმონ წერილობით, რაც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (გარდა ხელშეკრულების 4.4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა).

12.2. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყოველი შეტყობინება ჩაითვლება მხარის მიერ მიღებულად, თუ შეტყობინება გაგზავნილია ელექტრონული ფოსტით ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად. ელექტრონული ფოსტის რეკვიზიტების არარსებობის შემთხვევაში, მხარეს შეტყობინება გაეგზავნება

ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე. მხარის მიერ მითითებულ მისამართზე შეტყობინების გაგზავნით შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად.

12.3. მხარეები ვალდებულნი არიან წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს ცვლილებების შესახებ, რომელიც ეხება მათ რეკვიზიტებს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარემ არ აცნობა მეორე მხარეს ამგვარი ცვლილებების შესახებ, იგი პასუხისმგებელია ამ ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის.

12.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

12.5. მხარეები სრულად ეთანხმებიან ხელშეკრულებაში მითითებულ ყველა პირობას, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

12.6 ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კ.ანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შედგენილი დოკუმენტაციის დასადასტურებლად შესაძლებელია გაყენებულ იქნეს ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც შექმნილია მხარეთა მატერიალური ხელოწერის ფოტოასლის საფუძველზე, ამასთან დამკვეთი უფლებამოსილია მსგავსი სახის ელექტრონულ ხელმოწერაზე გამოიყენოს როგორც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/შტამპი ასევე ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც შექმნილია მატერიალური ხელმოწერის ფოტოასლის საფუძველზე. წინამდებარე პუნქტში მითითებულ ყველა ფორმით შედგენილ ელექტრონულ დოკუმენტსა და ელექტრონულ ხელმოწერას გააჩნია მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი
სს „ოპიზარი“
თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, წინამძღვრიშვილის ქ. №121
ს/ნ 202886163
ელ.ფოსტა: iobidzevaleri@gmail.com
ტელ.: 595 65 85 23

შემსრულებელი
შპს „მშენ-ექსპერტი +“
ქ. თბილისი, დიღმის მასივი, VI კვარტალი, კორპუსი 6-ის მიმდებარედ
ს/კ 406304896
ელ ფოსტა: Mshenexperti.plus@gmail.com
ტელ: 595-95-25-22

დამკვეთი
სს „ოპიზარი“

_____

ვასილი ღუდუშაური
დირექტორი

შემსრულებელი
შპს „მშენ-ექსპერტი +“

_____

ალექსანდრე ჭიპაშვილი
დირექტორი